ხუთწლედი — ვადამდე

ქუთაისი

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მიმდინარე წელს ერთიერთად გაიზარდება ავტომობილის ძრავების წარმოება, კიდევ უფრო გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

რუსთავი

ელექტრული გამოდგა გაზის კომპრესორების მოდერნიზაცია, რაც ახლახან განახორციელა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივმა. ამ ღონისძიებით ქარხანაში ყოველთვიურად ათასობით მანეთ ეკონომიას მიიღებენ.

ბათუმი

გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივი წელს მეორე კვარტალიდან შეუდგება თორმეტადგილიანი კომფორტაბელური მაშველი კატარღების სერიულ წარმოებას.

ბიბლიოთეკა

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЕБО ДГЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორმოცდმეთრმეტ-ე წელი № 16 (14012) | შაბათი, 20 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს დიატომიტის შახტის კოლექტივმა გასულ წელს დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებები, გეგმის გადაჭარბებით 4.425 ტონა დიატომიტი გამოუშვა. ხუთწლედის მესამე წელიც ახალი შრომითი აღმავლობით დაიწყო. დიატომიტის მომპოვებლებმა იანვრის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს 150 ტონაზე მეტი დიატომიტი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებდრად გაშლილ სოცშეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ნ. პახომოვის ცვლის მნგრეველებმა ლ. კაპანაძემ, ბ. კვახაკელიძემ, ზ. მარიტაძემ, ზ. ჯაოშვილმა, გ. თომაძემ და სხვებმა. თვითეული მათგანი ცვლაში ყოველდღიურად 10 ტონა დიატომიტს იღებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,5 ტონისა.

დიატომიტის შახტის კოლექტივის ვალდებულებაა წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულოს, ხოლო ხუთწლედისა — ვადაზე სამი თვით ადრე. ნ. პახომოვის ცვლის ვალდებულებაა წლიური დავალება გაანაღდოს 1 ნოემბრისათვის და წლის ბოლომდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 2.000 ტონა მაღალხარისხოვანი დიატომიტი, ხუთწლედის ბოლომდე — კი 6.000 ტონა ზეგეგმითი დიატომიტი.

სᲯᲐᲠᲯᲖᲔᲐ 1968 ᲬᲔᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ

მსოფლიოს ორმოცდაათ ქვეყანაში ეგზავნება თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტეოხელსაწყოს“ პროდუქცია. აქ დამზადებული უნიკალური ხელსაწყოებით სარგებლობენ ზღვებისა და ოკეანეთა, არქტიკისა და ანტარქტიდის მკვლევარნი, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მზის რადიაციის მზომავები. **ქარხანა 40 დასახელების პროდუქციას ამზადებს, მათ შორის არის მზის რადიაციის საზომი უნიკალური ხელსაწყო, რომლის საქარხნო პირობებში სერიული წარმოება პირველია მსოფლიოში და მასზე დიდი მოთხოვნილებაც არის.**

ქარხანა სპეციალიზებული საწარმოა და 40 წელია რაც არსებობს. ამ დროის მანძილზე ქართველმა ხელსაწყოთმშენებლებმა ბევრი უნიკალური პროდუქცია გამოუშვეს და მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტს გააცნეს საკუთარი მარკა.

როცა ქარხნის პროდუქციას ათვალიერებთ, არ შეიძლება არ მოგიზიდოთ მათი შესრულების ხარისხმა. მთელ რიგ ხელსაწყოთა უკვე საქვეყნოდ აღიარებული ნიმუშები არა მარტო მოხმარების თვალსაზრისით არის უნიკალური, არამედ დამზადების თვალსაზრისითაც. ხელსაწყოთა რთული კომპლექსები მოსახერხებელი და მცირე მოცულობისაა და 3 კილოგრამზე მეტს არ იწონის. ასეთი „მიკროპროდუქციის“ დამზადება ძალიან დიდ სიზუსტეს მოითხოვს. ისინი მრავალრიცხოვანი ბატარეიებისა და სხვადასხვა დეტალებისაგან შედგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წვრილმანი „ორგანიზმების“ 90 პროცენტს თვით ქარხანაში ამზადებენ, ადვილად დაარწმუნებდით, რომ ქარხნის კოლექტივს იუველირის ზუსტი და ბეჯითი შრომა სჭირდება.

გასული საიუბილეო წელი ღირსშესანიშნავი იყო ქარხნის ცხოვრებაში; აქ ითვისეს ისეთი ხელსაწყოები, რომლებითაც ვიზუალური (თვალისმიერი) დაკვირვება აღარ არის საჭირო. ეს ხელსაწყოები ავტომატური და ნახევრადავტომატურია. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ზღვის დინებათა თვითმწერი ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად ზომავს დინების სიჩქარეს, იკვლევს მიმართულებას და დამოუკიდებლად ახდენს მათს ფიქსაციას.

გასულ წელს აქ საგრძნობლად გაუმჯობესეს მზის რადიაციის საზომი და ჰიდრომეტრიული ხელსაწყოები.

რით იქნება მნიშვნელოვანი 1968 წელი ქართველი ხელსაწყოთმშენებლებისათვის?

წელს დაიწყო ყველა ზემოჩამოთვლილ ხელსაწყოთა გაუმჯობესება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქარხნის პროდუქციას იყენებენ ყველგან, ტროპიკებსა და არქტიკაში, ყოველგვარ კლიმატურ პირობებში. ამიტომ საჭირო ხდება მათი სპეციალიზაციაც თვისებების მოდერნიზაცია. ამ საკითხზე გულდასმით მუშაობს ქარხნის კოლექტივი. ამის პარალელურად ითვისებენ და მიმდინარე წელს გამოვა პირველი საცდელი ხელსაწყო, ე. წ. ფოტოთერმოგრაფი, რომელიც ზომავს წყლის ტემპერატურას და შედეგს ავტომატურად იწერს ფოტოფირზე. ხელსაწყოს მთავარი ღირსება ის არის, რომ მას შეუძლია ყოველგვარ პირობებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, წინასწარ მიცემული გეგმის მიხედვით დაკვირვება მოახდინოს წყლის ტემპერატურის ცვალებადობაზე. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს არქტიკოსებს, ანტარქტიკის მკვლევარებს...

შეკვეთები კვლავ მოდის ქარხანაში. წელს თბილისური ხელსაწყოები გაიგზავნება ბულგარეთში, პოლონეთში, ირანში, ვიეტნამში, ალჟირში, კორეაში, ბირმაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. საგრძნობლად გაუმჯობესდება ხელსაწყოთა ხარისხი, გაიზრდება რაოდენობა. ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წელს 30 დასახელების 3.000-მდე უნიკალურ ხელსაწყოს გაუგზავნის დამკვეთ ორგანიზაციებს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

რ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ინჟინერ-შემმოწმებელი ლ. შარაშენიძე (მარცხნივ) და ამწყობი ნ. ივანიშვილი ამოწმებენ მზის რადიაციის მზომავ ხელსაწყოს.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

• ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ •

რვა წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მოვიდა სოსო ჯოგიშვილი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში.

ცოდნისმოყვარე უმაწვილმა ზენიკლის პროფესია ირჩია და კარგადაც დაეუფლა. ამჟამად ს. ჯოგიშვილი, საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო ამწყობი ზენიკალი და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მოწინავე ამწყობ-ზენიკალი სოსო ჯოგიშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კარგად დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს აღწევს № 7 საამქრო, სადაც ძირითადად ბავშვის და მამაკაცის ზამთრის ფეხსაცმელს კერავენ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: № 7 საამქროს უფროსი დავით ბაბუნაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს ოსტატ დემურ ნიოლეიშვილის ნამუშევარს.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲛᲒᲚᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავ საამქროში შეაჯამეს იანვრის 15 დღის მუშაობის შედეგები. პროდუქციის გამოშვების ნახევარი თვის დავალება შესრულებულია 102 პროცენტით.

ახალ წელს გაფლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მომპირკეთებელთა და ელექტრიკოსთა ბრიგადები, რომლებსაც ს. ფუტკარაძე და თ. ალანია ხელმძღვანელობენ.

წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის — ასეთია საამქროს კოლექტივის ნაკისრი ვალდებულება.

19 ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. ვამზადებთ ქიმიკატებს სოფლის მეურნეობისათვის, ზეთის საღებავებს, ოლიფას, ცეცხლდამცველ ხსნარს, მინის ნაკეთობას და სხვ.

1967 წელი წარმატებით დავამთავრეთ. ჩვენმა კოლექტივმა საწარმოო დავალება ვადაზე 19 დღით ადრე შეასრულა. დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 70 ათასი მანეთის პროდუქცია.

ახლა ვებრძვით ხუთწლედის მესამე წლის ვადამდე და წარმატებით დამთავრებისათვის.

Ა. ᲚᲝᲠᲘᲐ,
ბათუმის ქიმიური ქარხნის დირექტორი.

30.000 ᲪᲐᲚᲘ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. შუშის ქარხანამ საიუბილეო წელს 4.948 ათასი ბოთლი გამოუშვა გეგმის გადამეტებით. ახლა ბორჯომელი ბოთლის მწარმოებლები მედგრად უტევენ ხუთწლედის ზღუდეებს. ამათ მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული თაოსნობის პასუხად ვალდებულება იკისრეს ოთხწელიწადნახევარში შეასრულონ ხუთი წლის გეგმა, ხუთწლედის ბოლო წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 30 მილიონი ბოთლი.

შუშის ქარხნის მუშაკები ვალდებულებას პირნათლად ანაღდებენ. 15 იანვრისათვის უკვე გამოუშვეს 30.000 ცალი ზეგეგმითი ბოთლი.

Დ. ᲕᲘᲜᲘᲚᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚ წელს ლანჩხუთში პირველად შეიქმნა ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგური, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით. აქ დადგმულია ზეთისა და სოლიდოლის ავტომატური გამწყობები, ჰიდრავლიკური ამწე-საკონტროლო, რომლითაც ხდება ავტომანქანის შემოწმება და დიაგნოსტიკა. ყველა ოპერაციას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ასრულებენ. სადგურში ხდება აკუმულატორების შეკეთება, დამუხტვა, მანქანის შეღებვა, სანიშნო ნომრების დაწერა, საკვანძო ნაწილების შეკეთება და სხვ.

სადგურმა უკვე გაუწია პირველი ტექნიკური მომსახურება მამათის, ნინოშვილის, გუნიანის კოლეგიურნეობების ავტომანქანებს.

რ. ᲚᲝᲠᲘᲐ.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინი 19 იანვარს კრემლში მიიღო ამერიკის საუურნალო გაერთიანების „ტაიმ ენდ ლაიფ ინკორპორეიშნის“ მთავარი რედაქტორი **ხ. დონოვანი** და ეურნალ „ლაიფის“ მთავარი რედაქტორი **ბ. ჰანტი** მათი თანოვნით და ესაუბრა.

ამჯ. **ა. ნ. კოსიგინმა** უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც ინტერესებდათ ეურნალისტებს.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე **ლ. მ. ზამიატინი.**

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

თითქმის ერთი მესამედით გაიზრდება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზების რაოდენობა. მალე მისი ექსპოზიცია დაიკავებს რევოლუციის მოედანზე მდებარე ძველებური შენობის სამივე სართულს. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა აკრეფილ მუზეუმს გადასცეს მისი მეზობელი კორპუსი, რომლის სასარგებლო ფართობი ათას ხუთას კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამ შენობაში მოთავსდება მუზეუმის ფონდები, ბიბლიოთეკა, აქვე გადმოვა ადმინისტრაციული სამსახურები.

მუზეუმის გაფართოება, — თქვა საკრებულის კორესპონდენტთან საუბარში მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ი. ი. ალექსანდროვმა, — უნდა დამთავრდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის. ერთ-ერთ დარბაზში გათვალისწინებულია მოეწყოს მშრომელთა ძიეოლანდმერ ილიას-ძის და სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის მიძღვნილი საჩუქრების გამოფენა.

დოკუმენტური ფოტომატიანე დამთვალიერებელთ გააცნობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს.

(საკ. კორ.).

ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲫᲔᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲕᲘ

ᲕᲝᲚᲒᲘᲡᲙᲘᲡ სალტეების ქარხანამ გამოუშვა საგზაო-სამშენებლო მანქანების საბურავების პირველი პარტია, იუწყება საკ. კორესპონდენტი.

ახალგაზრდა საწარმომ უკვე შეცნრა სახეობის საბურავები გამოუშვა. ახლა აქ მზადდება „ვოლგის“ მარკის ავტომობილების, ავტობუსების, ტრაქტორ „ბელარუსის“, სატვირთო ავტომანქანების საბურავები.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მეოთხე დღეა საქართველოში იმყოფება იტალიის კომუნისტური პარტიის სიცილიელ აქტივისტთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. ჯგუფს მეთაურობს იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სიცილიის პარლამენტის დეპუტატი სალვატორე რინდონე. იტალიელი ამხანაგები იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში. საქართველოს გაცნობა სტუმრებმა თბილისით დაიწყეს, ეწვივნენ ქალაქის სამრეწველო რაიონებს, დაათვალიერეს ახალშენებლობანი, ღირსშესანიშნავი ადგილები.

იტალიის კომუნისტური პარტიის აქტივისტები იყვნენ რუსთავში, სადაც გაეცნენ მეტალურგიული ქარხნის მუშაობასა და კაპრილაქტამის წარმოებას ქიმიურ კომბინატში. დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს.

იტალიელი კომუნისტები ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს, რომელმაც სტუმრებს გააცნო უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა, ესაუბრა რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურაზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

19 იანვარს იტალიის კომუნისტური პარტიის აქტივისტები ჩავიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდონონოვმა, იტალიელი ამხანაგების თხოვნით, გააცნო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სტრუქტურა. პასუხი გასცა სტუმართა კითხვებზე.

— კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი, — თქვა პ. ა. როდიონოვმა, — დიდი უურადღებით ადევნებენ თვალს მომიმე იტალიის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, ამაუობენ მისი წარმატებებით მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, კომუნისტთა საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში. მოხარული ვიქნებით, თუ საქართველოში მოგზაურობა თქვენ სარგებლობას მოგიტანთ.

იტალიის კომუნისტური პარტიის აქტივისტთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ ემანუელ კონტიმ დელეგაციის წევრთა სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა კომუნისტებს, საქართველოს ყველა მშრომელს. საბჭოთა კავშირის, კერძოდ, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილების გაცნობა, განაცხადა ამბ. კონტიმ, დაგვეხმარება პრაქტიკულ საქმიანობაში. იტალიაში დაბრუნებისას ახალი ძალით განვამტკიცებთ იტალიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიების ერთობას.

საუბარს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ა. გ. კარანაძე.

იტალიის კომპარტიის აქტივისტები განაგრძობენ საქართველოს გაცნობას. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა დეპუტატების ა. გონაშვილის, დ. აბაშიშვილისა და დ. მამულაძის მოხსენებები — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ ახმეტის, მაიაკოვსკისა და ქარელის რაიონებში.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ახმეტის, მაიაკოვსკისა და ქარელის რაიონებში ამ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად; გასული წლის გეგმები გადაჭარბებით შესრულეს; წინა წლებთან შედარებით გაზარდეს ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების დონე; რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში შექმნეს საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი ახალი ობიექტი და მომსახურების ახალი სახეობები.

ამასთანავე აღინიშნა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ამ რაიონებს აქვთ ნაკლოვანებები. მაიაკოვსკისა და ქარელის რაიონებში არასამრეწველო ობიექტებს მომსახურების გეგმები არ შეუსრულებიათ.

კომისიის სხდომაზე მწვავედ იმსჯელეს იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველოები სათანადო კონტროლს არ უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობას, რის შედეგადაც შემჩნეულია შეკვეთების მიღების ფაქტები ისე, რომ ჯეროვნად არ არის გაფორმებული. მთელ რიგ ობიექტებში დაბალია მომსახურების კულტურა, შესრულებული შეკვეთების ხარისხი და სხვა.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: შ. ჯოგლიძემ, რ. კვინტრაძემ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ა. მიქიტაძემ, ახმეტისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ა. ბაკურაძემ, შ. ჯაპაძემ, მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ს. კოხოძემ, მაიაკოვსკის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა ა. ფულარიანმა.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ. (საქდესი).

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ: ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲝᲠᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ თვეა მოსკოვში ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გახსნილია სრულიად საკავშირო საიუბილეო სამხატვრო გამოფენა. ათასი ავტორის — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, უდიდესი ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკების, რუსეთის მხარეებისა და ოლქების მხატვრების ორი ათასზე მეტი ნაწარმოები „მონაწილეობდა“ ამ სრულიად საკავშირო ვერნისაჟში.

სრულიად საკავშირო საიუბილეო გამოფენას განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა მოკავშირე რესპუბლიკათა დღეებმა, რომლებიც მომდინარეობდა მანეულნი. 15-დან თითოეული რესპუბლიკის მხატვრებს, დაწყებული რუსეთის ფედერაციიდან, ეთმობოდა განსაკუთრებული ადგილი ერებლებთან, როცა სურათებიდან, ქანდაკებებსა და გრაფიკულ ნაწარმოებებთან მომდინარეობდა სერიოზული და გულითადი საუბარი, რომელიც ერთნაირად სასარგებლოა სახვითი ხელოვნების ოსტატებისთვისაც და მათი ნიჭის თაყვანისმცემლებისთვისაც.

ამ დღეებში საგამოფენო დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის კულტურის საერთაშორისო კოლეგიისა და სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა სრულიად საკავშირო საიუბილეო გამოფენის შედეგებს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა ე. თ. ბელაშოვამ.

(საკდესის კორ.).

ᲛᲗᲘᲡ „ᲖᲦᲕᲐ“

ᲐᲥᲢᲐᲣᲑᲐ (აზერბაიჯანის სსრ), 19 იანვარი. (საკდესის კორ.). მეექვსმეოცე ლენინ კუბერი მეტრი გრუნტი ჩაყარეს დღეს აქტაფის „ზღვის“ კაშხალში, რომელიც მტკვრის შენაკად აქსტაფაზე შენდება.

რესპუბლიკის დასავლეთის უდიდეს საირიგაციო ახალმშენებლობაზე დაიწყო სამუშაოთა დასკვნითი ეტაპი. მთავრდება ნაკადის გადახიდვა. ეს ორკილომეტრიანი ნაგებობა აერთებს აქსტაფა-ჩაის გალმა-გამოღმა მდებარე ორ მთას.

ახალი „ზღვა“, რომელიც 120 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს, მორწყავს 74 ათას ჰექტარ ნაყოფიერ მიწას ყაზახის, შამქორის, თაუზის, რაიონებში, სადაც უკვე აშენებენ ახალ ზვრებს, ხეხილის ბაღებს, თესენ მარცვლოვან და საკვებ კულტურებს, რგავენ თამბაქოს, ბოსტნეულის ჩითილებს.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ — ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ

ᲚᲐᲒᲝᲓᲘᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და რიგის სახელმწ. განათლების საქალაქო განყოფილებამ დედაქალაქის სამ სკოლაში მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთათვის მოაწყეს „აკადემიური“ ლექტორიუმები.

წარმატებით მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო. ამაო გამოდგა შიში, გამონახავდნენ თუ არა „სიერთო ენას“ აკადემიკოსები და მოსწავლეები. უფროსკლასელები დიდ ინტერესს იჩენენ თვალსაჩინო მეცნიერთა გამოსვლებისადმი. მეცნიერები გასაგებად და წარმატებად აცნობენ მოსწავლეებს უახლეს მიღწევებს ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და მათემატიკის ოარგში ეს, პედაგოგთა აზრით, არა, მარტო ათვარეთებს მოსწავლეთა ცოდნის სიზღვრებს, არამედ აგრეთვე ხელს უწყობს ახალგაზრდობის პროფეს ი ე ს ორიენტაციას.

შედგენილია ლექტორიუმთა წლიური ციკლი. კერძოდ, გათვალისწინებულია პოპულარული საუბრები თანამედროვე ფიზიკის ფილოსოფიურ საკითხებზე, ბირუსლოგიის განვითარების პერსპექტივებზე, ცილების სტრუქტურაზე, გენეტიკის არსებით პრობლემებზე. ლექტორიუმთა მსმენელები ეწვევიან ზოგიერთ Sკვლევ ლაბორატორიას, ატომურ რეაქტორსა და რადიოასტრონომიულ ობსერვატორიას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲛᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲔᲥᲠᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ

სიცილიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო საბჭოთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — საკავშირო პროფსაბჭომ, „ცენტროსოიუზმა“ და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა გადაწყვიტეს დაზარალებული მოსახლეობისათვის გაიღონ 125 ათასი მანეთი. იტალიაში იგზავნება მედიკამენტები, სურსათი, ხანძნები, კარვები, რომლებსაც იტალიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაანაწილებენ სიცილიის მოსახლეობაში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირისა და კოლუმბიის მთავრობები შეთანხმდნენ განაახლონ დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. ორივე მთავრობამ გამოთქვა რწმენა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ჯეროვანი ურთიერთმპატივისცემის პირობით, გაამტკიცებს სავაჭრო, კულტურულ და დიპლომატიურ კავშირს ორ ქვეყანას შორის. (საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

მეფრინველეობა რენტაბელური უნდა იყოს

მოიგებს სახელმწიფოც, კოლმეურნეობაც

გვესაუბრება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე
დ. ნიკურაძე

რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უკეთ მოგვემარაგებინა მშრომელები ამ პროდუქტებით, — თქვა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. ნიკურაძემ, — თბილისისა და სხვა ქალაქების ახლოს გაშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები. მეფრინველეობის ფაბრიკებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების წარმოებაში დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა დაწახარჯები, პროდუქციის თვითღირებულება. იაფი პროდუქტების წარმოებით მეფრინველეობის მთელი რიგი ფაბრიკები რენტაბელური გახდნენ.

1966 წელს მეფრინველეობის ფაბრიკებმა 1.515 ტონა ფრინველის ხორცი აწარმოეს, კოლმეურნეობებმა კი — 340 ტონა. ამავე წელს მეფრინველეობის ფაბრიკებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 46.116 ათასი ცალი კვერცხი, კოლმეურნეობებმა კი — 14.377 ცალი კვერცხი. როგორც ვხედავთ, მეფრინველეობის ფაბრიკები მეტ პროდუქტებს ამზადებენ, ვიდრე კოლმეურნეობები. მაგრამ მთავარი ეს როდია. აქ აღსანიშნავია ის, რომ მეფრინველეობის ფაბრიკების მიერ წარმოებული პროდუქცია იაფია, ვიდრე კოლმეურნეობებისა. ავიღოთ ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულება. შარშანწინ მეფრინველეობის ფაბრიკებში ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულება 182 მანეთი იყო, კოლმეურნეობებში კი 205 მანეთი და 88 კაპიკი. 10 ცალი კვერცხი კოლმეურნეობებში 1 მანეთი და 47 კაპიკი დაჯდა, ფაბრიკებში — 66,7 კაპიკი.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ფაბრიკებსა და კოლმეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულება დიდად განსხვავდება. მეფრინველეობის პროდუქტების გაიაფება წარმოების რენტაბელობის გასაღებია. ეს კარგად იციან მეფრინველეობის ფაბრიკების სპეციალისტებმა, ყველა მშრომელმა, და იმედია, რომ მომავალში აქ ეს საქმე უკეთ იქნება დაყენებული, ჩვენი მშრომელები უფრო მეტი რაოდენობით მიიღებენ იაფ პროდუქტებს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ზოგიერთ რაიონში?

მეფრინველეობას საქართველოში ოდითვე მისდევდნენ. ფრინველის ხორცსა და კვერცხზე იმთავითვე დიდი მოთხოვნილება იყო. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან შეეჩრდებით ისევ 1966 წლის მაჩვენებლებზე.

მართალია, ამ ბოლო დროს ბევრ კოლმეურნეობაში აშენდა საფრინველეები, სადაც საკმაო რაოდენობით ჰყავთ ფრინველი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კაპიტალური საფრინველეები საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. კოლმეურნეობათა საფრინველეებში სამუშაოთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მექანიზებული არ არის და, ცხადია, იაფი პროდუქტების დიდი რაოდენობით წარმოებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მეფრინველეობა ჯერ კიდევ არარენტაბელური დარგია გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და რიგ სხვა რაიონებში. ავიღოთ წითელწყაროს რაიონი, აქ ყველა პირობა აქვთ მეფრინველეობის განვითარებისათვის და იაფი პროდუქტების წარმოებისათვის. რაიონის ფერმებში შარშანწინ 106.028 ფრთა ფრინველი ჰყავდათ. აქედან 82.472 კვერცხმდებელი იყო. სამუალოდ ერთ კვერცხმდებელზე 97 კვერცხი მიიღეს. მაგრამ ერთი ცალი კვერცხი 11 კაპიკი დაუჯდათ. ასევე ძვირი დაუჯდათ ხორცის წარმოებაც, ამიტომ იყო, რომ 1966 წელს მეფრინველეობიდან 250.000 მანეთზე მეტი ზარალი ნახეს.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო გურჯაანის რაიონში. რაიონის 19 ფერმაში 39.047 ფრთა ფრინველი ჰყავდათ. ფერმებში ფრინველის ხორცისა და კვერცხის თვითღირებულება დიდი იყო. საკმარისია ითქვას, რომ ერთი ცალი კვერცხის თვითღირებულება რაიონში 17 კაპიკი იყო. ამ წელს წაგებამ 114.320 მანეთი შეადგინა.

რა ღონისძიებები განხორციელდა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად?

ნაკლოვანებანი რომ აღმოგვეფხვრა, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო გავცნობოდით რსფსრ სხვადასხვა ოლქისა და მხარის მეფრინველეთა გამოცდილებას. ამ მხრივ საინტერესო იყო სტავროპოლის მხარის მეფრინველეთა გამოცდილება. მათი მაგალითით რესპუბლიკის დედაქალაქის ახლოს მოწყობილი მეფრინველეობის ფაბრიკები კარგად მუშაობენ და დიდძალ ფრინველის ხორცსა და კვერცხს აწვდიან თბილისისა და რუსთავის მშრომელებს.

ჯერჯერობით ასეთი ფაბრიკების აშენება ყველა რაიონში შესაძლებელი არ არის, მაგრამ გამოიძებნა კარგი საშუალება. ამაში დაგვეხმარა გორელთა თაოსნობა. 1964 წელს ქ. გორსა და სოფელ მეჯვრისხევს შუა გამოიყო 30 ჰექტარი მიწა. აქ იმავე წელს დაიწყო მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკის მშენებლობა. მშენებლობის დროულად დამთავრებისათვის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გორის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი მეურნეობები.

შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. აშენდა ახალი ტიპის ფართოგაბარიტიანი 6 საფრინველე, თვითეული 6 ათასი კვერცხმდებელი ქათმისათვის და 2 საწიწილე, ერთი ალიმენტაციონერი. რაიონის მეპაიე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მისაყიდი კვერცხის ღირებულების პროცენტები საპაიო შესატანში შეიტანეს. ამ თანხით შეძენილ იქნა 20 ათასი წიწილა. ეს იყო 1965 წლის ზაფხულში. ასე შეიქმნა გორის რაიონის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკა.

მოკლე დროში ეს ფაბრიკა რენტაბელური გახდა. ადრე გორის რაიონში ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება ძვირი ჯდებოდა. საზოგადოებრივი მეურნეობები წელიწადში 300-400 ათას მანეთს ზარალობდნენ. ერთი ცალი კვერცხი 20-30 კაპიკი ჯდებოდა, ერთი კილოგრამი ფრინველის ხორცი — 3,5 მანეთი და სხვ.

ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. პირველსავე წელს ფაბრიკამ კარგ შედეგებს მიაღწია. ფრინველის საუკეთესოდ მოვლისა და კვების შედეგად თვითეულ კვერცხმდებელზე 132 კვერცხია მიღებული. 1966-1967 წლებში აწარმოეს 2 მილიონ 553 ათასი ცალი კვერცხი და 615 ცენტნერი ფრინველის ხორცი. გეგმა დიდი გადამეტებით შესრულდა. აღსანიშნავია პროდუქციის თვითღირებულება. თუ წინათ რაიონში ერთი ცალი კვერცხი 20-30 კაპიკი ჯდებოდა, ახლა ასე აღარ არის. ერთი კვერცხი საშუალოდ 5 კაპიკზე ცოტა მეტი ჯდება, ხოლო კილოგრამი ხორცი — 86 კაპიკი.

საიუბილეო წელს გორის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკამ სახელმწიფოს ნაცვლად 1.090 ათასი ცალისა 1.455 ათასი ცალი კვერცხი მიჰყიდა. მოგებამ 252 ათასი მანეთი შეადგინა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფაბრიკის დირექტორს ვ. რთველიაშვილს, სპეციალისტებსა და ყველა მშრომელს.

როგორ გახდა ფაბრიკა მოკლე დროში რენტაბელური?

ერთი რამ თავიდანვე უნდა ითქვას: წარმატების საწინდარი შრომის სწორი ორგანიზაცია და წარმოებაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვაა.

ფაბრიკა სახელმწიფოსაგან 40 პროცენტ კომბინირებულ საკვებს იღებს. დანარჩენი — 60 პროცენტი მოაქვთ მეპაიე კოლმეურნეობებს (ხორბლისა და სიმინდის ანარჩენები). საკვებად წარმატებით იყენებენ აგრეთვე ბოსტნეულის ანარჩენებს (კოლმეურნეობებიდან და საკონსერვო ქარხნებიდან). ეს იაფი საკვებია. იაფი საკვები კი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ფრინველის კვება: მოზარდეულ ფრინველს დღეში ექვსჯერ კვებავენ, კვერცხმდებელ ქათამს კი ოთხჯერ. ფრინველის კვების საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობს ზოოტექნიკოსი დ. რამაზაშვილი. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ფაბრიკაში პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას. რეგულარულად მიმდინარეობს აცრები. სწორედ ამიტომ არის, რომ ფაბრიკაში ჯერ არ ყოფილა ფრინველის რაიმე დაავადება.

სამუშაოთა მექანიზაცია: გორის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკაში სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. საკვების შემზადება და დარიგება, ფრინველის რწყულება, კვერცხის აკრეფა, ნაკელის გატანა, ჰაერის განიავება მანქანებით ხდება. თვითეულ საფრინველეში 5.000 ქათამია. მას ერთი მეფრინველე ემსახურება, სანიმუშო სისუფთავე, მოვლა-პატრონობა შესაძლებელს ხდის იმას, რომ ფაბრიკიდან ყოველდღიურად ათასობით კვერცხი მიიღონ და მომხმარებელს მიაწოდონ.

აღსანიშნავია ცალკეულ მეფრინველეთა წარმატება. მეექვსე საფრინველის მომვლელმა ლ. ფსიტიძემ, რომელიც 5 ათას ქათამს უვლის, თვითეულ კვერცხმდებელზე 135 კვერცხი მიიღო, მეორე საფრინველის მომვლელმა ქ. ალხაზაშვილმა — 133 ცალი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ინკუბატორის უფროსი ოპერატორის მ. ჯიოშვილის შრომითი საქმიანობა. მან მიაღწია იმას, რომ გამოჩეკილი წიწილების 85 პროცენტი შეინარჩუნა, ეს კი დიდი წარმატებაა.

გორის მეფრინველეობის ფაბრიკაში ახლა 50 ათასი ფრთა ფრინველია. აქედან 20 ათასი კვერცხმდებელია. საინკუბატორო საამქროში ყოველწლიურად 150 ათასი წიწილა გამოჩეკავთ. აი რა შეუძლია სამუშაოთა მექანიზაციას, მონდომებას, საქმის სიყვარულს.

სურათზე: გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ვ. რთველიაშვილი (მარჯვნივ), ბრიგადირი ვ. ზუმბულიძე, ვეტექიმი მ. გოგიაშვილი და ზოოტექნიკოსი ს. მაზმიშვილი ამოწმებენ ფრინველს.

სწორედ ამის შედეგია, რომ ფაბრიკა დიდ მოგებას იღებს. ამ მოგებამ საშუალება მისცა ფაბრიკას თითქმის მთლიანად აენაზღაურებინა მშენებლობაზე გაწეული ხარჯები და მეპაიე კოლმეურნეობებისათვის უკან დაებრუნებინა მათ მიერ გაღებული სახსრები. მომდინარე წლიდან ფაბრიკა ისე იმუშავებს, რომ ვალი აღარ ექნება.

როგორია მომავლის პერსპექტივები?

გორელმა მეფრინველეებმა ხუთწლედის მესამე წელს ახალი ვალდებულებები იკისრეს. ვალდებულებათა შესრულებისათვის მთელი ძალით გაჩაღდა სოცშეჯიბრება. მომდინარე წელს ფაბრიკამ 450 ცენტნერი ფრინველის ხორცი და 2 მილიონ 600 ათასი ცალი კვერცხი უნდა აწარმოოს. ერთ კვერცხმდებელზე 135 კვერცხი უნდა მიიღოს. ინკუბატორში გამოიყვანენ 140 ათას წიწილას. აქედან გაზრდიან 60 ათას ფრთა ქათამს, ხოლო დანარჩენს მოსახლეობას მიჰყიდიან. ასე რომ წელს ფაბრიკა 160 ათას მანეთ მოგებას მიიღებს. ამით საშუალება მიეცემა წელს მთლიანად აუნაზღაუროს მეპაიე კოლმეურნეობებს ფაბრიკის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები. ამასთან ფაბრიკა მილიონობით კვერცხს და ასობით ცენტნერ ფრინველის იაფ ხორცს მისცემს სამშობლოს. ფაბრიკა კიდევ უფრო რენტაბელური გახდება. უფრო გალამაზდება ფაბრიკის ტერიტორია, გზები, ხეივნები.

გორელთა ეს ინიციატივა და მიღწევა უთუოდ მხარდაჭერისა და მიბაძვის ღირსია. ამ დღეებში გორის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკა დაათვალიერეს სიღნაღის რაიონის პარტიული და სამეურნეო, აგრეთვე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა. მათ მოეწონათ ფაბრიკაში შრომის ორგანიზაცია, იაფი პროდუქციის წარმოების ხერხები. გამოითქვა სურვილი მიბაძონ გორელთა მაგალითს.

მომდინარე წელს მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკების მშენებლობა ბევრ რაიონში დაიწყება. გორელთა გამოცდილება მათ უთუოდ დაეხმარება მუშაობაში.

უახლოეს წლებში რესპუბლიკაში მეფრინველეობის პროდუქტების წარმოების საქმე აღმავლობის გზით წავა.

გორელ მეფრინველეთა მაგალითი ჩვენთვის

ერეკვანელი
ბ. ბეიბუტოვი

სამიოდე წლის წინ გორის რაიონში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელმაც მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ხორცისა და კვერცხის წარმოებაში. მექანიზაციის ფართოდ დანერგვითა და შრომის სწორი ორგანიზაციით ფაბრიკამ მკვეთრად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის უმნიშვნელოვანესი განვითარების საკითხებზე ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის გორის რაიონულ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის საარმოო სამმართველოს უფროსები. თათბირის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ. მან დამსწრეთ გააცნო თათბირის მოწვევის მიზანი, ილაპარაკა რესპუბლიკაში მეფრინველეობის განვითარების ამოცანებზე და ამ საქმეში საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის დიდ მნიშვნელობაზე.

გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკისა და მეძროხეობის სანაშენო ფერმის მუშაობის ორგანიზაცია და პირველი შედეგები თათბირის მონაწილეებს გააცნო საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბ ზ ი ტ ვ ი ლ მ ა.

ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე მ, ბ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, უ. ი. ჭ ა ნ უ ტ ვ ა ძ ე მ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ბ. ბ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ მ ა და თათბირის სხვა მონაწილეებმა დაათვალიერეს გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა და საკოლმეურნეობათაშორისო მეძროხეობის სანაშენო ფერმა. თათბირის მონაწილეებმა მოიხილნეს გორელ მეცხოველეთა გამოცდილება. რაიონების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი გორელთა მაგალითისამებრ ფართოდ განავითარებენ საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობას.

მუშაობის ჩქარი ტემპი

გვესაუბრება საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ვლ. ბელაშვილი

პარტიისა და მთავრობის რეკომენდაციით ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ფართო ქსელი. ამ ორგანიზაციებს მუშაობას ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმეს. ეს კანონზომიერიც არის; საპაიო საწყისებზე შექმნილმა ამ ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებს საშუალება მისცეს შეექმნათ მძლავრი, ტექნიკურად აღჭურვილი სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ საწარმოო, სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საქმეს. საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკამ დაამტკიცა, თუ რაოდენ დიდი საქმის გაკეთება შეიძლება ადგილებზე, ადგილობრივ კადრებზე, საშუალებებზე დაყრდნობით.

ასეთი ორგანიზაციები ჩვენს რესპუბლიკაში პირველად 1956 წელს ჩამოყალიბდა. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოები შეიქმნა ორ რაიონში — კასპსა და ბოლნისში. ეს იყო ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის დასაწყისი. საბჭოებს არ გააჩნდათ საკუთარი ბაზები, მექანიზმები, იარაღები. მაგრამ რაიონის მშრომელთა ერთსულოვნებამ თავისი გაიტანა. საბჭოებმა ფები მოიკიდეს და პრაქტიკულად დაადასტურეს მათი გაფართოების აუცილებლობა.

ეს ისტორიული ექსკურსი შემთხვევით როდი მოვიყვანეთ. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ორგანიზაციების დღევანდელ მუშაობას, ადვილად დავრწმუნდებით რაოდენ დიდი საქმე გაკეთდა ამ მოკლე ხანში. მაგრამ სანამ ამაზე ვილაპარაკებდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველებს გავაცნოთ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს დღევანდელი სისტემა. რესპუბლიკურ საბჭოში ამჟამად შედის 48 რაიონული და სარაიონთაშორისო ორგანიზაცია, რომლებშიც ათასობით ადამიანი ერთგულად ემსახურება საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეს. ეს საკმაოდ მაღალი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში სულ 68 რაიონია. რესპუბლიკურ საბჭოში შემავალ ორგანიზაციებს აქვთ მძლავრი ბაზები, თანამედროვე ტექნიკა. იქ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.

ყოველწლიურად იზრდებოდნენ და ვაუკაცდებოდნენ ჩვენი ორგანიზაციები პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით. იქმნებოდა საწარმოო ბაზები, გამოიყოფოდა კრედიტები სამშენებლო მექანიზმების შესაძენად. მაგალითად, თუ 1959 წელს ორგანიზაციებს არავითარი სამშენებლო მექანიზმები არ გააჩნდათ, დღეს აქვთ საკუთარი სატვირთო ავტომანქანები, ექსკავატორები, ბულდოზერები, ავტოამწეები, ტრაქტორები, გრეიდერები. ტექნიკურ შეიარაღებასთან ერთად იზრდებოდა ორგანიზაციების მიერ სამუშაოთა შესრულების მოცულობა, რომელიც დღეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთით განისაზღვრება.

განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლებით აღინიშნა მშენებელთათვის საიუბილეო წელი. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 22 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. გეგმა გადაჭარბებით იქნა განაღდებული. ორგანიზაციებმა გეგმის გადაჭარბებით 800 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს და წლიური გეგმა 101 პროცენტით განაღდეს. გასულ წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დიდი გადაჭარბებით შესრულდა საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

საიუბილეო წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა პირუტყვის სადგომები 15.000 სულისათვის, საღორეები 10.000 სულისათვის, ფარეხები 31.000 ცხვრისათვის და სხვ. ყველა ეს მაჩვენებელი გეგმაზე ბევრად მეტია. მაგალითისათვის შემდეგ ფაქტს მოვიყვანთ: მომდინარე წელს ორგანიზაციებს უნდა აეშენებინათ მეფრინველეობის ფერმები 45 ათასი ფრთა ქათმისათვის. სინამდვილეში აეგებულ იქნა ფერმები 111 ათასი ფრთისათვის, ე. ი. წლიური გეგმა 247 პროცენტით შესრულდა! გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი ობიექტი.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ორგანიზაციების საქმიანობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე კოლმეურნეობების გამგეობათა კანტორები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, 203 კილომეტრი საერთო სიგრძის წყალსადენები და სხვ.

რაიონულმა საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე საშენ მასალათა წარმოების გასული წლის გეგმები. გეგმით გათვალისწინებული 7 მილიონ 175 ათასი მანეთის საერთო პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 9 მილიონ 553 ათასი მანეთისა. წარმოებულია დიდძალი მასალა, აქედან საკედლე, — 50 მილიონი ცალი პირობითი აგური, გადამუშავებულ იქნა 80 ათასი კუბური მეტრი ხის მასალა. დამზადდა 500 ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალა და ათასობით კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

ამ დიდი, შრომატევადი სამუშაოების შესრულება განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული ორგანიზაციები გულისყურით ეპყრობოდნენ სამშენებლო საბჭოების მუშაობას.

პარტიის რაიონული კომიტეტების ზრუნვისა და ჩვენი ორგანიზაციების მალამოებულელი მუშაობის შედეგად საიუბილეო წელს დაწინაურდნენ ბოლნისის, ბათუმის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, კასპის, მარნეულის, მახარაძის, ქობულეთის, ხობის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს და სიღნაღის რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები.

მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მშენებელთა საქმიანობას.

ჩვენი თხოვნა იქნება, მეტი ყურადღება მიექცეს ამ მეტად საჭირო საქმეს იმ რაიონებში, სადაც ჯეროვნად ვერ დგას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საფეურნეო საქმიანობა. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან მცხეთის, ახალქალაქის, საგარეჯოს, ყვარლის და სხვა რაიონები.

ამ რაიონებმა მაგალითი გორის რაიონული ხელმძღვანელობისაგან უნდა აიღონ. სწორედ მათი ზრუნვის შედეგად შეძლო გორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ დიდი სამუშაოების შესრულება. აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეფრინველეობის ფაბრიკა. აიგო აგრეთვე ღორის გასასუქებელი ფერმა. 1967 წელს გორელმა მშენებლებმა ნაწილობრივ საექსპლოატაციოდ გადასცეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა-კომპლექსი, რომელშიც შედის ორი საძროხე 800 სულისათვის, სამშობიარო განყოფილება, ორი სახბორე 456 სულისათვის და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები. მთელი კომპლექსის საერთო ღირებულება დამთავრების შემდეგ 600 ათასი მანეთი იქნება. მშენებლობა 1968 წელს დამთავრდება. რით არის მნიშვნელოვანი ეს ფერმა-კომპლექსი, რომელიც ჩვენმა მოწინავე ორგანიზაციამ ააგო? აქ მექანიზებულია ყველა შრომატევადი პროცესი, ამასთან საჭირო ობიექტები თავმოყრილია, რაც ნორმალურ სამუშაო პირობებს ქმნის.

ამ ფერმის მაგალითზე ჩვენს რესპუბლიკაში აიგება სხვა ობიექტებიც. მაგალითად, კასპის რაიონში აიგება მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკა.

ჩვენი ორგანიზაციების მიერ გაწეული შრომის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით. გვინდა რამდენიმე სიტყვით მკითხველებს გავაცნოთ მიმდინარე წლის გეგმები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოთა შემდგომ ზრდას ითვალისწინებს.

შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წლის გეგმა 1 მილიონი მანეთით გაიზარდა. უნდა შესრულდეს 23 მილიონი მანეთის სამუშაო. საექსპლოატაციოდ გადაეცემა სადგომები 13.000 სული პირუტყვისათვის, ფარეხები, საღორეები, კლუბები, საავადმყოფოები, კოლმეურნეობების გამგეობათა კანტორები, წყალსადენები, საცხოვრებელი სახლები, სანატორიუმები, პანსიონატები.

მომდინარე წელს განზრახულია აიგოს 50 დასახელების სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

კიდევ უფრო გაფართოვდება ჩვენი ორგანიზაციების ქსელი. მომდინარე წელს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოები შეიქმნება კიდევ სამ რაიონში — დმანისში, ბორჯომსა და ამბროლაურში. ეს უკანასკნელი გაერთიანებს სამ რაიონს — ამბროლაურს, ონსა და ცაგერს, ამასთან ერთად უნდა შეიქმნას აგრეთვე აფხაზეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საოლქო საბჭო.

ფართოვდება ორგანიზაციათა ქსელი. მშენებლები დღითიდღე აძლიერებენ შრომის ტემპს. წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი. ხუთწლედის დავალებები — ვადამდე, ღირსეულად შეეხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს — აი მათი შრომის დევიზი.



სურათზე: გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის საერთო ხედი.

ფოტო ბ. ვახტანგაძისა.

U ᲬᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 18 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსეი იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, დღეს პრეს-კონფერენციაზე კვლავ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბომბდასმა. უ ტანმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებლად არ მიიჩნია ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგებისა შესახებ მოლაპარაკების დაწყება თუ დამთავრა არ შეწყდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სიტყვა წარმოთქვა კონგრესისათვის პრეზიდენტ ჯონსონის წერილის გაგზავნის მერე; დღეს, რომელშიც ჯონსონმა ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ საჰაერო ომის შეწყვეტის საკითხი კვლავ დაუკავშირა ისეთ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება შეერთებულ შტატებს საშუალებას მისცემდა ესარგებლა თავისი აგრესიის ნაყოფით.

უ ტანს მისცეს ბევრი შეკითხვა ვიეტნამში ომის გაფართოების საფრთხისა და კამბოჯის ტერიტორიაზე შეერთებული შტატების შეჭრის მომზადების შესახებ. უ ტანმა უპასუხა, რომ ჟენევის შეთანხმებებით კატეგორიულად არის გამოცხადებული კამბოჯა ხეიტრალურ სახელმწიფოდ. კამბოჯა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია და ყველა სახელმწიფო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, მოვალეა დაიცვას კამბოჯის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

18 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 18 იანვარი. (საკდესი). დღეს ერთი თვის შესვენების შემდეგ ერთა სასახლეში მუშაობა განაახლა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა. სსრ კავშირის დელეგაციამ ამ სხდომაზე შეიტანა სრული ტექსტი ხელშეკრულების პროექტისა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. როგორც ცნობილია ხელშეკრულების პროექტებში, რომლებიც წარდგენილი იყო მე-3 მუხლი ხელშეკრულების შესრულებისადმი საერთაშორისო კონტროლის შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. რომეინმა, რომელიც გამოვიდა დღეანდელ სხდომაზე, ხაზი გაუსვა, რომ ხელშეკრულების პროექტი გამორიცხავს „ედამიწაზე ატომური იარაღის გავრცელების რაიმე შესაძლებლობას“. მე-3 მუხლი კონტროლის შესახებ, განაგრძო ორატორმა, უზრუნველყოფს, რომ ყველა მონაწილე ასრულებდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ეს მუხლი თვალისწინიხებს ატომური ენერგიის საერთაშორისო საგანტო საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, „რომელიც გაეწევა ყველა საწყის ან ხლეჩად მასალას იმ სახელმწიფოთა სამშვიდობო ატომურ საქმიანობაში, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი, მათი ტერიტორიების ფარგლებში ან საქმიანობაში, რომლებიც მათი კონტროლით ხორციელდება, სადაც უნდა იყოს ეს“.

ანალოგიური პროექტი ხელშეკრულებისა გაუვრცელებლობის შესახებ დღეს შეიტანა აგრეთვე ამერიკის დელეგაციამ.

სხდომაზე გამოაქვეყნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ. ტანის წერილი, რომელშიც იგი ხაზს უსვამს ატომური იარაღის გავრცელებლობის პრობლემის ვადაჭრის მნიშვნელობას და იმედს გამოთქვამს, რომ კომიტეტი გენერალურ ასამბლეას უახლოეს მომავალში წარუდგენს ხელშეკრულების პროექტს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

პარიზი, 18 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა და მოიწონა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის რ. გიუიოს მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მომზადების შესახებ. საფრანგეთის კომპარტია, ნაოქვამია ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში, მონაწილეობას მიიღებს ბუდაპეშტის საკონსულტაციო თათბირში კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობის შეკავშირების მიზნით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საფრანგეთის კომპარტიის აზრით, საკონსულტაციო თათბირი „შესაძლებლობას მისცემს ყველა პარტიას თანასწორობისა და ძმობის პირობებში გაუზიარონ ერთმანეთს აზრი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, აგრეთვე დღის წესრიგის, მუშაობის მეთოდებისა და იმ ფორმების კოლექტიურად შემუშავების საკითხებზე, რომლითაც ჩამოყალიბდება თათბირის დასკვნები“.

საფრანგეთის კომპარტია დარწმუნებულია, ნათქვამია რეზოლუციაში, რომ საერთაშორისო თათბირი „შეიძლება გახდეს დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობის განმტკიცების, თითოეული პარტიის თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპთა საფუძველზე ერთობლივი მოქმედების განხორციელების, მეილი რევოლუციური და პროგრესული ძალების ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფართო ერთიანი ფრონტის შექმნის გზაზე“.

ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ჰანოი, 18 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის მებრძოლებმა ჰაბაკის პროვინციაში დღეს ჩამოადგეს ორი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებიც შეეჯრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა ჰატინისა და კუანგბინის პროვინციებში ჩამოადგეს სამი ამერიკული თვითმფრინავი.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲜᲝᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 3 იანვარს მძლავრი ცეცხლი დაუშინეს ამერიკის დანანგის საავიაციო ბაზას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების საგენტოს, წარმატებით შეურულებული ოპერაციის შედეგად სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსპეს და დაზიანეს 67 თვითმფრინავი, აფეთქეს 2 სამრძოლო მასალის საწყობი, მწყობრიდან გამოიყვანეს ბაზის მოწყობილობის თითქმის მესამედი, დახოცეს და დაჭრეს 150 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე — მფრინავები და მომსახურე პერსონალი. საგენტო აღნიშნავს, რომ ამერიკის ავიაბაზაზე სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების 7 თავდასხმის შედეგად 1965 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში, მწყობრიდან გამოყვანილია 320 თვითმფრინავი, დახოცილი და დაჭრილია 1.538 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 1.428 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲗᲔᲡᲐᲕᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ათასზე მეტი ავიაგამანადგურებელი და ბომბდამშენი ყოველთვიურად 28 ათას საბრძოლო გაფრენას აწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში. როგორც პენტაგონი იუწყება, შარშან მათ ჩამოყარეს 650 ათასი ტონა ბომბები, რაკეტები, ყუმბარები, ნაპალმი. პენტაგონი არ ასახელებს ქვეყნებს, რომლებსაც დაუშინეს ეს ბომბები. მაგრამ ამერიკის პრესა სულაც არ მალავს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები განუწყვეტლივ ბომბავენ არა მარტო ვიეტნამის, არამედ ლაოსის ტერიტორიასაც.

ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲚᲐᲒᲝᲡᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). ფედერალურმა შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ-დასავლეთის ქალაქ ოხიტშის რაიონში შეტევის დროს მნიშვნელოვანი დაახვევინეს უკან აღმოსავლეთ ნიგერიის ჯარის, ხელთ იგდეს დიდძალი აღიფი და განაგრძობენ შეტევის განვითარებას. ეს ნათქვამია ცნობაში, რომელიც აქ გამოქვეყნა ნიგერიის ფედერალური პმაურობის ინფორმაციის სამინისტრომ.

ცხობაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ფედერალურმა შეიარაღებულმა ძალებმა გაცხარებული ბრძოლების დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გამაგრებული პუნქტი ონიტშის ჩრდილოეთით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). ორი დღის კამათი თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრ ვილსონის განცხადების გამო მთავრობის ხარჯების შემცირების შესახებ დაიწყო ფინანსთა მინისტრის ჯენკინსის გამოსვლით, რომელმაც მოუწოდა დეპუტატებს მოიწონონ ვილსონის განცხადება. თავის გამოსვლაში ჯენკინსი მთავრობის „მომჭირნეობის“ პროგრამას, კერძოდ სოციალური ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას ამართლებდა იმით, რომ საჭიროა მიაღწიონ საგადამხდელო ბალანსის აქტიურ სალდოს. ჩვენ, თქვა მან, ქვეყნის „საგადამხდელო ბალანსში უნდა შევიტანოთ“ 1 მილიარდი გირვანქა სტერლინგი. ჯენკინსმა აღნიშნა, რომ ეს ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება შესრულონ მთავრობის ხარჯების შემცირებით და ამიტომ საჭიროა განახორციელონ შესაბამისი საბიუჯეტო ღონისძიებანი. როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, ინგლისის ახალ ბიუჯეტს იგი წარადგენს 19 მარტს, რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

კონსერვატორთა წარმომადგენელმა მაკლეოდმა ოფიციალურად შეიტანა შესწორება მთავრობის რეზოლუციაში. ამ შესწორებაში უნდობლობას უცხადებს მთავრობას. კონსერვატორები თანახმა არიან, რომ საჭიროა მთავრობის ხარჯების შემცირება, ამასთან „დანაბეგვა“ გამოთქვამენ სამხედრო ხარჯების გამოცხადებულ შემცირებათა გამო. „როცა ჩვენ გავხდებით მთავრობა“, განაცხადა მაკლეოდმა, — კვლავ დავრჩებით შორეულ აღმოსავლეთში, თუ ამას პრაქტიკულად და სასარგებლოდ მივიჩნევთ. მაკლეოდმა მთავრობას ბრალი დასდო, რომ არ შესწევს უნარი უხელმძღვანელოს ქვეყნის ეკონომიკას.

კამათი გრძელდება. კამათში მონაწილეობისათვის, როგორც თემთა პალატის სპიკერმა განაცხადა, უკვე ჩაეწერა 70-ზე მეტი კაცი.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ 86 ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ე. პავლოვი იტყობინება:

თემთა პალატაში გრძელდება კამათი მთავრობის ხარჯების შემცირების პროგრამის შესახებ. კამათი გახსნა კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ჰიტმა. მსჯელი კაპიტალის პარტიის მეთაურმა ფერები არ დაიშურა, რათა აეწერა ლეიბორისტული მთავრობის ეკონომიური პოლიტიკიის ჩავარდნა. ჰიტი სიამოვნებით დათანხმდა სოციალური საჭიროების ხარჯების შემცირებაზე და გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ შეიკვეცოს სამხედრო ხარჯები და დაჩქარდეს ინგლისის ჯარების გაყვანა შორეული აღმოსავლეთის ბაზებიდან და სპარსეთის უურის რაიონიდან.

ჰიტის შემდეგ გამოვიდა პრემიერ-მინისტრი და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ვილსონი, რომელიც იცავდა მთავრობის მიერ გამოცხადებულ „ეკონომიის“ ღონისძიებებს. ვილსონმა თქვა, რომ მთავრობის ხარჯების შემცირების პროგრამას მოჰყვება მორიგი „ფინანსური და სხვა გადაწყვეტილებანი“, რომლებიც, როგორც მან განაცხადა, საჭიროა იმისათვის, რომ გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ თავისი შედეგები მოიტანოს. ვილსონმა მოუწოდა ინგლისის მრეწველებს ისარგებლონ ახლა მათ წინაშე გადაშლილი შესაძლებლობებით. პრემიერ-მინისტრის გამოსვლა დამთავრდა იმით, რომ კონსერვატორთა ოპოზიციის მხრიდან გაისმა შეძახილები: „გადადექით!“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტის თემთა პალატამ ხმა უმრავლესობით მოიწონა მთავრობის ხარჯების შემცირების პროგრამა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა გამოაცხადა. კონსერვატორებმა და 25-მა ლეიბორისტმა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი შეიკავეს და მონაწილეობა არ მიუღიათ კენჭისყრაში.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარიზი, 19 იანვარი. (საკდესი). საბერძნეთის ჯარის საველე ფორმიანმა ნაწილებმა ოთხშაბათს დიადოვეს სალონიკში სტრატეგიული პუნქტები. — რადიოსადგური, ტელეგრაფის შენობა და რკინიგზის საღგური.

იუწყება რა ამას, ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ როგორც საბერძნეთის სამხედრო წრეებმა განაცხადეს, ეს მოიმოქმედეს საარძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად წვრთნასთან დაკავშირებით და ამჟამად მოქმედი სალაყო წესების ფარგლებში. გუშინ ჯარისკაცები სალონიკიდან თავაზით ყაზარმებში დაბრუნდნენ.

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲔᲡ Გ. ᲚᲐᲛᲑᲠᲐᲙᲘᲡᲘ

პარიზი, 19 იანვარი. (საკდესი). საბერძნეთის პოლიციამ კვლავ დაიპატიმრა დღეს ცნობილი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, გაზეთების „ნეას“ და „ვიმას“ მფლობელი ქრისტოს ლამბრაკისი. როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება, დაპატიმრების მიზეზი არ ყოფილა აღნიშნული.

Გ. ლამბრაკისი, თავისი შეხედულებით ლიბერალი, ასახავდა საბერძნეთის უდიდესი ბურჟუაზიული პარტიის — ცენტრის კავშირის თვალსაზრისს. ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხუნტის ჩადგომის შემდეგ ამ პარტიის, როგორც ვიცით, ყველა პოლიტიკური პარტიის ბედი ეწია. — იგი კანონგარეშე გამოაცხადეს. თვით ლამბრაკისი დაპატიმრეს აპრილში როგორც რეჟიმისათვის „საშიში“ კაცი. მაგრამ ახალი წლის წინ იგი გაათავისუფლეს ამნისტიით.

ᲩᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲑ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 18 იანვარი. (საკდესი). იემენის პრობლემის მოწესრიგების სამთა კომისიამ, რომელსაც ბეირუთში ჰქონდა სხდომები, მიიღო გადაწყვეტილება, რომ იემენის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი განსახილველად გადასცეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერსა და საუდის არაბეთის მეფეს ფეისალს. კომისიამ გამოაცხადა, რომ ვერ მიაღწია შეთანხმებას რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის. ამას მენ-ის საგენტო იუწყება ბეირუთიდან.

ეს კომისია შეიქმნა ომ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც შარშან აგვისტოში მიაღწიეს ხართუმის თათბირზე პრეზიდენტმა ნასერმა და მეფე ფეისალმა. კომისიას მეთაურობდა სუდანის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ აჰმედ მაჰჯუბი.

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბასან მაკიმ იემენის პრობლემის მოწესრიგების სამთა კომისიას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ატყობინებს, რომ იემენის არაბთა რესპუბლიკის მთავრობა არ არის თანახმა 1962 წლის რევოლუციის შედეგად დამხობილი ხამიდედინთა დინასტიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ იემენში მშვიდობის დამყარებისათვის რაიმე მოლაპარაკებებში. ნოტაში გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ კომისიას კონტაქტი აქვს ამ დინასტიის წარმომადგენლებთან.

იემენის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ნათქვამია ნოტაში, კომისია ამ გზას დადგა იმის შედეგად, რომ საუდის არაბეთი ძლიერ გავლენას ახდენს მასზე და ცდილობს ჩაფუშოს ხართუმის შეთანხმება და ხელი შეუშალოს სამთა კომისიის საქმიანობას, რომლის მიზანია მშვიდობის დამყარება იემენში.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲔᲛᲔᲜᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 19 იანვარი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კონტროლს უწევენ იემენში შექმნილ მდგომარეობას, განაცხადა იემენის ინფორმაციის მინისტრის მოადგილემ. ამას იუწყება მენ-ის საგენტო.

იემენის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდალა ბარაკატმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ იემენში სიმშვიდე ჩამოყარდა მას შემდეგ, რაც მთავრობის ჯარებმა დაამარცხეს მონარქისტები და უცხოელი დაქირავებულები, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საჭურველი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკურმა ძალებმა დაიპყრეს ერთ-ერთი მონარქისტი, რომელმაც იემენის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოაღწია. მან შეგვატყობინა დიდმნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც ეხება დასავლეთელ დაქირავებულთა მონაწილეობას იემენის ომში.

„როგორც მენ-ის საგენტო იუწყება, გუშინ იემენში იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პასან ალ-ამრის თავმჯდომარეობით გაიმართა იემენის მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს იემენში შექმნილი მდგომარეობა ომასთან დაკავშირებით, რომ ბეირუთში მუშაობა შეწყვიტა იემენის პრობლემის გადაწყვეტის სამთა კომისიამ.

ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 18 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის მებრძოლებმა ჰაბაკის პროვინციაში დღეს ჩამოადგეს ორი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებიც შეეჯრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა ჰატინისა და კუანგბინის პროვინციებში ჩამოადგეს სამი ამერიკული თვითმფრინავი.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲜᲝᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 3 იანვარს მძლავრი ცეცხლი დაუშინეს ამერიკის დანანგის საავიაციო ბაზას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების საგენტოს, წარმატებით შეურულებული ოპერაციის შედეგად სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსპეს და დაზიანეს 67 თვითმფრინავი, აფეთქეს 2 სამრძოლო მასალის საწყობი, მწყობრიდან გამოიყვანეს ბაზის მოწყობილობის თითქმის მესამედი, დახოცეს და დაჭრეს 150 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე — მფრინავები და მომსახურე პერსონალი. საგენტო აღნიშნავს, რომ ამერიკის ავიაბაზაზე სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების 7 თავდასხმის შედეგად 1965 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში, მწყობრიდან გამოყვანილია 320 თვითმფრინავი, დახოცილი და დაჭრილია 1.538 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 1.428 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲗᲔᲡᲐᲕᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ათასზე მეტი ავიაგამანადგურებელი და ბომბდამშენი ყოველთვიურად 28 ათას საბრძოლო გაფრენას აწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში. როგორც პენტაგონი იუწყება, შარშან მათ ჩამოყარეს 650 ათასი ტონა ბომბები, რაკეტები, ყუმბარები, ნაპალმი. პენტაგონი არ ასახელებს ქვეყნებს, რომლებსაც დაუშინეს ეს ბომბები. მაგრამ ამერიკის პრესა სულაც არ მალავს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები განუწყვეტლივ ბომბავენ არა მარტო ვიეტნამის, არამედ ლაოსის ტერიტორიასაც.

ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. იასის საწარმო „ცესტეტარას“ ბამბის სართავ საამქროში (სურათზე მარცხნივ ზემოთ). აქ ყოველწლიურად აწარმოებენ 4 ათას ტონა ბამბის ნართს.

ᲐᲦᲒᲘᲚᲜᲐᲒᲠᲘᲗ საჭიროებათა და მეზობელი ქვეყნების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ხეტუის სახერხი შვიდი ქარხანა მუშაობს. ისინი ყოველწლიურად აწარმოებენ 50.000 კუბურ მეტრამდე დახერხილ მასალას. (სურათზე მარცხნივ ქვემოთ) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხე-ტუის სახერხი ერთ-ერთი ქარხანა.

ᲙᲐᲞᲣᲪᲘ ინსტიტუტი ზამბიის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელია. მასწავლებელი სტიმა ამოწმებს სტუდენტის ნამუშევარს სადურგლო სახელოსნოში. (სურათზე მარჯვნივ ზემოთ).

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ აკვალანგისტები დიდ კვლევითს მუშაობას ეწევიან ზღვის ფსკერზე. ამ სამუშაოებს დიდი მნიშვნელობა აქვს იუგოსლავიის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. წყალში ჩაშვება. (სურათზე მარჯვნივ ქვემოთ).

ფოტო აჯერპრეს, ტანიუგ-საკდესისა

ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. მეშვიდე თვეა გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების სპილენძის მაღაროთა და სპილენძსადნობი რეფეწელების მუშათა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობს 50 ათასზე მეტი მუშა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და სამრეწველო კომპანიებთან კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების უფლების უზრუნველყოფას.

გაფიცულ საწარმოთა მფლობელნი მოითხოვენ, რომ კონფლიქტის გადაჭრაში ჩაერიოს მთავრობა.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ფარსქენის როტონის ქვანახშირის მაღაროებში მიმდინარეობს მეშახტეთა გაფიცვა, რომელშიც 2 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს. გაფიცულნი მოითხოვენ დათხოვილი პროფკავშირული მუშაკის დაუყოვნებლივ აღდგენას სამუშაოზე.

ხელფასის მომატების მოთხოვნის მხარდასაჭერად მუშაობა შეწყვიტეს ადენის ქარხანა „ბელრეფის“ მუშებმა.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ათას ხუთასზე მეტი მეშახტე გაიფიცა მიერესის (ესპანეთი) აუზის „ლამასისა“ და „ფიგარედოს“ შახტებში. როგორც ფრანს პრესის საგენტო ოვიედოდან იუწყება, „ფიგარედოს“ შახტში, სადაც 1.600 კაცი მუშაობს, გაფიცავში მონაწილეობს მეშახტეთა 90 პროცენტზე მეტი.

გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, აგრეთვე სოლიდარობას უცხადებენ ამხანაგებს, რომლებიც რეპრესირებული არიან გაფიცვებში მონაწილეობისთვის.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ. ავსტრალიის საფოსტო მანქანების მძღოლთა და კავშირგაბმულობის მუშაკთა საყოველთაო ეროვნული გაფიცვა, რომელიც უკვე ერთ კვირაზე მეტია გრძელდება, სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

მთავრობამ, წაწყდა რა გაფიცულთა სიმტკიცეს, მიმართა უკიდურეს ღონისძიებებს, „მოიშველია“ შტრაიკბრეხერები. მაგრამ როცა შტრაიკბრეხერები პოლიციის ბადრაგით გამოცხადდნენ სიდნეის, მელბურნისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ფოსტამტებში, მათ იქ დაუხვდნენ გაფიცულთა პიკეტები.

ავსტრალიის ფოსტის მუშაკთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა მუშათა კლასს მოუწოდა სოლიდაობა გამოუცხადონ გაფიცულებს. გაფიცულებს მხარი დაუჭირა ავსტრალიის დოკერთა ფედერაციამ, რომელმაც გააფრთხილა მთავრობა, რომ ნავსადგურის მუშები წინააღმდეგობას გაუწევენ ფოსტის დატვირთვას. გემებში. მხარი დაუჭირეს აგრეთვე რკინიგზელთა კავშირმა, ტელეგრაფისტთა პროფკავშირმა, რომელმაც მიიღო გადწყვეტილება, რომ, თუ მთავრობა არ აიღებს ხელს შტრაიკბრეხერთა გამოყენებაზე, სახელმწიფოს მთელი სატელეგრაფო კავშირი შეწყდება.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ გორტონი მართავს სასწრაფო თათბირებს.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲕᲔᲜᲐ. მუშაობა შეწყვიტა ავსტრიის ყველა მეტალურგიულმა საწარმომ, იუწყება გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“. მეტალურგიული მრეწველობის საწარმოების მუშათა საბჭოების წევრთა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება გამოაცხადოს გაფიცვა იმასთან დაკავშირებით, რომ მეწარმეებმა უარი თქვეს ხელფასის მომატებაზე.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. „ასეკის“ ელექტრო-ტექნიკური ქარხნების მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. გაფიცულთა რიცხვმა „ასეკის“ ქარხნებში შარლერუასა და ჰერსტალში ახლა 2,5 ათასს მიაღწია. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და ყოველწლიური პრემიების მიცემას.

დიდი გაფიცვა მიმდინარეობს „ბელრეფის“ ქარხნების ოთხ საწარმოში. მუშები მოითხოვენ ძრომის პირობების გაუმჯობესებას.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. ბრაზილიის პერნამბუკოს შტატში მიმდინარეობს 15 შაქრის ქარხნისა და პლანტაციის მუშათა გაფიცვა. გაფიცულნი გამოდიან მუშათა სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. ისინი იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისა და იმისათვის, რომ მიწა გადაეცეს იმათ, ვინც მას ამუშავებს.

მშრომელთა ბრძოლა ძლიერდება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ ბრაზილიის მრეწველობაშიც. იგი მიმართულია მთავრობის ანტიმუშური ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბრაზილიის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული შტატის

ჩვენს კრებულ-ბანკეში

ბეჭდავს „კომუნისტის“ და საქართველოს კორესპონდენტები

სკოლის იუბილე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ახლადდელ პირველ საშუალო სკოლას 50 წელი შეუსრულდა. ეს იყო ზესტაფონის გიმნაზია — პირველი საშუალო სასწავლებელი შორაპნის ყოფილ მაზრაში.

ამ სასწავლებელმა დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს. მის კედლებში აღზრდილთა შორის არის 28 დოქტორი-პროფესორი, 64 მეცნიერების კანდიდატი, ასეულობით მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. აქ სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის გმირები ს. კეთლაძე, ალ. ბიბილაშვილი და ფ. მერკვილაძე. მათი სახელის უკვდავსაყოფად სკოლის ეზოში აიგო გმირთა დიდების ობელისკი.

ამ სკოლაში აღიზარდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ს. ზაქარიაძე, ხელოვნებისა და ლიტერატურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე.

რაიონის კულტურის სახლში გაიმართა სკოლის 50 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. სამხარაძემ.

მოხსენება თემაზე — „პირველი საშუალო სკოლა 50 წლისაა“ — წაიკითხა სკოლის დირექტორმა ა. ლომთათიძემ. სტუმრებს მიესალმნენ პიონერები.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ამ სკოლის კურსდამთავრებულნი. პროფესორები დ. მშვენიერაძე, ვ. ჩასტლაიე, ა. მაკარიძე, საბავშვო მწერალი ლ. ჭიკვინაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი კ. ცქიტიშვილი, გიმნაზიის ყოფილი დირექტორი, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი თ. მანჯავიძე, წყალტუბოს რაიონული გაზეთის რედაქტორი დ. გაბრიაძე და სხვები. აქ სტუმრად მყოფი ლიტვის სსრ ტაურაგეს საშტალო სკოლის დირექტორი ა. მუსანდუკასი მხურვალედ მიესალმა დამსწრეებს. მან აღნიშნა, რომ ტაურაგელი მშრომელები სათუთად ინახავენ საფლავს საბჭოთა კავშირის გმირის ალ. ბიბილაშვილისას, რომელმაც ეს სკოლა დაამთავრა და ჩვენი თავისუფლებისათვის დაეცა.

სკოლა-იუბილარმა ბევრი მისალმება მიიღო.

საზეიმო სხდომა დიდი კონცერტით დამთავრდა.

მკითხველები გვწერენ

გუშინდელი ფოსტიდან

საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი შ. ჭანტურია) რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ქალაქებსა, რაიონებსა, საწარმო-დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელთათვის სისტემატურად აწყობს ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე.

სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივ საწყისებზე პარტიის კალინინის რაიკომთან არსებული სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორია რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე.

ამას წინათ თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დამამზადებელ ქარხანაში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო იურიდიულ საკითხებზე. აქ მრავალ შეკითხვაზე პასუხი გასცა რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

ა. რაჰველიშვილი.

რევოლუციამდე ბათუმის რაიონის სოფლებში ძნელად თუ ნახავდით ადგილობრივ კაცს, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა, სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა კი მთელი რაიონი დაფარულია კულტურისა და განათლების კერებით. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებთან ერთად რაიონში მტკიცედ გაიდგა ფესვები მუსიკალურმა განათლებამ. ყველა კლუბთან ჩამოყალიბებულია ანსამბლები, მუსიკალური წრეები და აგიტმხატვრული ბრიგადები.

სოფელ ურეხის მუსიკალურ სკოლას 6 წლის ისტორია აქვს. მიუხედავად ამ მცირე დროისა, მან ბევრი რამ გააკეთა სოფლის ნორჩი თაობის მუსიკალური აღზრდისათვის. სკოლაში არის 6 საფორტეპიანო კლასი, რომელშიც გაერთიანებულია 134 მოსწავლე. მათს აღზრდას ემსახურება 16 ახალგაზრდა პედაგოგი. ყველა ისინი ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი არიან.

მ. გოგბილაშვილი.

ზუასვეის რაიონის ოლადაურის კოლმეურნეობამ შარშან სახელმწიფოს 37 ტონა თამბაქო მიჰყიდა, რაც გეგმაზე 15 ტონით მეტია. შრომის აგანგარდში კომუნისტები ნ. დავითაძე, გ. მაკარაძე, თ. ქარცივაძე და სხვები არიან.

წელს მეტ თამბაქოს გეგმირდებიან ოლადაურელი კოლმეურნეები.

ა. ბერიძე.

მაამაცი მონადირე

ამბროლაური. (საკ. კორ.). **რაჭაში კარგად იცნობენ სხვაველ მონადირეს მურმან პეტრიაშვილს. მის ანგარიშზე რამდენიმე ათეული მოკლული მტაცებელი ნადირი ითვლება.**

ამას წინათ კოლმეურნეებმა დათვის კვალი შეამჩნიეს. მ. პეტრიაშვილი ნადირის კვალს გაჰყვა. მალე იგი ბუნაგს წააწყდა, რომლის ახლოს ვეება დათვი დააბოტებდა. ზედიზედ გაისმა სამი გასროლა. დაჭრილი დათვი ღრიალით გაექანა მონადირისაკენ. მურმანს მეტი ტყვია არ ჰქონდა და ამიტომ ხეზე ასვლას შეეცადა. მაგრამ ტოტი ხმელი გამოდგა და მონადირემ მიწაზე ზღართანი მოადინა. მაგრამ არც დათვს დაადგა კარგი დღე. მან მონადირემდე ვერ მიაღწია და იქვე ბუნაგთან ჩაიკეცა.

ეს მ. პეტრიაშვილის მიერ მოკლული ოცდამეოთხე დათვია. მის მიერ ხელით დაჭერილი სამი ბელი თბილისის ზოოპარკის ბინადარნი არიან.

მამაც მონადირეს მრავალი ათეული მელა და კვერნა ჰყავს მოკლული, რისთვისაც იგი არაერთხელ დაჯილდოვეს. ახლახან კი მან საჩუქრად მიიღო მაჯის საათი.

სურათზე: ახალი საკერი თბილისის მეტროპოლიტენის დიდუბის სადგურთან.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲛᲘ

1968 წლის უნივერსიადა ტიროლის დედაქალაქ ინსბრუკში გაიმართება. როგორც იუწყებიან, სტარტზე გამოვა სხვადასხვა ქვეყნის შვიდასამდე წარმომადგენელი. საბჭოთა სპორტსმენები 58 კაცის შემადგენლობით უკვე ჩავიდნენ ინსბრუკში. აქვე არიან იაპონიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

უნივერსიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა 21 იანვარს, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში, კერძოდ ფიგურულ ციგურაობაში ასპარეზობა გუშინ დაიწყო. ეს იმით არის გამოწვეული, რომ 24 იანვარს ქალაქ ვენტეროსში (შვეიცარია) სტარტი მიეცემა ევროპის ჩემპიონატს, რომლის მონაწილეები იქნებიან უნივერსიადის ზოგიერთი სპორტსმენი. ინსბრუკიდან ვენტერროსში სსრ კავშირიდან გაემგზავრება საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ვ. ბურებინი.

ფიგურისტების შემდეგ ბრძოლაში ჩაებმებიან ჩქაროსნული მოციგურავეები, ძარალელურად გაიმართება ჰოკეისტთა ტურნირი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის.

უკანასკნელი შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იდგა სსრ კავშირის ჩემპიონის — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის და ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის „ყაზანის „ყალგორისის“ მატჩი მოსკოვში.

რადგან ეს ორი ნაკრები ერთმანეთს ერთ-ერთ ადგილზე ხვდებიან, ეს ორ-ორ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ